

რისი უფლება აქვს პრეზიდენტს?

„ჩვენში არაპოლიტიკური და არამ-სოფლმხედველობის მქონე პრეზიდენტი ვის რაში სჭირდება?“

იხილეთ მე-3 გვერდზე



ენცივით გაზეთი „PS“-ის განახლებულ საინფორმაციო ინტერნეტპორტალს www.psnews.ge-ს, ყოველდღიურად იკითხეთ ცხელ-ცხელი ამბები და იყავით ინფორმირებული!

ქუთაისში ხალხისათვის წართმეული და გაყიდული შენობები, შესაქლოა, ახალ მუკატრონებს ჩამოერთვას



იხილეთ მე-3 გვერდზე

სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი პირებისათვის ქულების მინიჭების სისტემა იშვლება

იხილეთ მე-2 გვერდზე

სვლილებები ქუთაისის ბიუჯეტში

იხილეთ მე-2 გვერდზე

საფხვურთო სკანდალი და პაღლოვა უს-ს

იხილეთ მე-6 გვერდზე

რა სვლილებები შევა შეილად აყვანის კანონში

იხილეთ მე-7 გვერდზე

ქუთაისის მერიასი უშე პირთა გადასაღბილად პანდუსი მოაწყობა

იხილეთ მე-5 გვერდზე

8.2 მილიონი ლარი ჭიანჭურის წყალ-მომარაგებისათვის

იხილეთ მე-2 გვერდზე

პრემიერის ამბიციები კლიმატური ცვლილებების სამიტზე

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში (გაერო) ოფიციალური ვიზიტით იმყოფება. საქართველოს მთავრობის ხელმძღვანელი სიტყვით გაერო-ს კლიმატის ცვლილებების სამიტზე გამოვიდა და განაცხადა, რომ საქართველო მზადაა, გადადგას პროგრესული ნაბიჯები კლიმატური ცვლილებების შერბილებისკენ. თუმცა, აღნიშნულ

სამიტზე მის მიერ დაფიქსირებულ ოფიციალურ პოზიციას თბილისში პოლიტიკური თაღლითობა უწოდეს, რადგან დედაქალაქის საკრებულომ რეკრეაციული ზონების რიცხვი კიდევ უფრო შეამცირა.

როგორც პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა გაერო-ს გენერალურ ასამბლეაზე ვიზიტის შეფასებისას აღნიშნა, საქართველოს

დელეგაციამ საერთაშორისო ორგანიზაციაში მნიშვნელოვანი და ნაყოფიერი შეხვედრები გამართა.

„საქართველო ღირსეულად არის წარმოდგენილი გაერო-ს გენერალურ ასამბლეაზე. მე მექნება ასამბლეის 69-ე სესიაზე სიტყვით გამოსვლა და შევეხები ჩვენთვის საინტერესო ყველა საკითხს. ვიზიტის ფარგლებში მე მქონდა ასევე შეხვედრები ქუევიის პრემიერთან, საულის არაბეთის საგა-

რეთ საქმეთა მინისტრთან, ევროპელი დირექტორთან, ასევე, საშუალება მქონდა, გავსაუბრებოდი აშშ-ის პრეზიდენტს. მიღების ფარგლებში ვისაუბრეთ ორი ქვეყნის ურთიერთობებზე. ჩვენ ძალიან ბევრი საინტერესო საკითხი გველოდება წინ,“ — განაცხადა პრემიერმა.

გაგრძელება მე-2 გვერდზე

„აღაიანი ვარ, აღაიანი, როგორსაც სჭირდება თანადგომა!“



როგორ ცხოვრობენ შშმ ქალები ქუთაისში?

იხილეთ მე-5 გვერდზე

დაქორწინება-განქორწინების წესები



იხილეთ მე-4 გვერდზე

კომერსიონი
qimertioni.ge

წიგნების მაღაზია

მისამართი: ქუთაისი, „აპოკალიფი“;
ტელ.: 790 927 927.



წიგნები უნ გალოდებ!

ქუთაისი, ხავარო ცენტრი „აპოკალიფი“, წიგნების მაღაზია „კომერსიონი“, ტელ.: (790) 927 927.

საფეხურითო სკანდალი და გადაღობა უსს-ს

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა კომერციული მოსყიდვის ფაქტზე რვა მსჯი დააკავე. უსს-ს მიერ გავრცელებული ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, დაკავებულ პირებს ბრალად ედებათ მოქალაქეებთან წინასწარ გარიგება ყვითელი და წითელი ბარათების რაოდენობაზე. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სამსახურ განყოფილების სრული შემადგენლობა კი გადაღდა, ხოლო ბრალდებულ მსაჯებს კი ფედერაციამ სამუდამო დისკვალიფიკაცია მისცა.

5-ზე მეტი ყვითელი ბარათი უნდა ეჩვენებინა გარკვეული თანხის სანაცვლოდ, რომელიც განისაზღვრებოდა ეროვნული ჩემპიონატის ლიგების მიხედვით, — განაცხადა პროკურორმა ზვიად ფხაკაძემ.

გამოძიების მონაცემებით, ანალოგიური სქემით მოქმედებენ სხვა მსაჯებიც, რომელთა მიმართ გამოძიება გრძელდება. გამოძიებას აწარმოებს უსს-ს ანტიკორუფციული სააგენტო. თუ როდის გაიმართება აღკვეთი ღონისძიების შესახებ სასამართლო პროცესი, ამ დროისთვის უცნობია.

გუშინვე სამსახურ კომიტეტმა კომიტეტის სხდომაზე ბრალდებულ მსაჯებს სამუდამო დისკვალიფიკაცია მისცა.

გამოძიება ჯგუფურად ჩადენილი კომერციული მოსყიდვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 221-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, რაც სასჯელის სახით 4-დან 6 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ან საქმიანობის უფლებამოსილების სამი წლის ვადით ჩამორთმევას ითვალისწინებს).

საგამოძიებო ორგანოს საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია მხარდაჭერას უცხადებს და მადლობას უხდის. როგორც ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ზვიად სიჭინავამ ე.წ. „მოლუსის“ შენობის დატოვების შემდეგ განაცხადა, ის გამოძიებასთან აქტიურად თანამშრომლობს. მისივე თქმით, კორუფციულ გარიგებებში ბრალდებული მსაჯების დაკავებაც სწორედ ამ თანამშრომლობის შედეგად მოხდა. უსს-ს ანტიკორუფციული დეპარტამენტის მიერ ჩატარებული ოპერაციის შემდეგ კი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სამსახურ განყოფილების სრული შემადგენლობა გადაღდა.

„არავის დავუბარებდვარ, ეს არის თანამშრომლობის ერთ-ერთი წესი. ჩვენ გვინტერესებს, რა ხდება. თუ ხვალაც და ზეგაც იქნება საჭირო, კიდევ მოვალო. ჩვენ წინ გვაქვს



ტურები, უნდა დავნიშნოთ მსაჯები, ოქტომბერში ფეფა-ში უნდა წარვადგინოთ ახალი მსაჯები და გვინდა, რომ არაფერი გავგვებაროს, თუ სადმე რამე ეჭვი არსებობს, გამოვრიცხოთ,“ — განაცხადა ზვიად სიჭინავამ. ფეხბურთის ფედერაციაში იმდენ გამოთქვამენ, რომ ჩაწყობილ მატჩებთან დაკავშირებით გამოძიება გავრძელდება და კორუფციულ გარიგებებში მონაწილე ყველა პირი პასუხს აგებს.

კორუფციის თემა ფეხბურთში ახალი არ არის და ეს პრობლემა არა მხოლოდ საქართველოშია. ამას „უეფა“-ს პრეზიდენტი მიშელ პლატინიც კი აღიარებს. 2013 წელს მიცემულ ინტერვიუში მან განაცხადა, რომ ევროპული ფეხბურთის მმართველი ორგანიზაცია არ მოითმენს ჩაწყობილი თამაშების არსებობას, რადგან სწორედ ის მიანიჭა სპორტის ამ სახეობის განვითარების გზაზე უმთავრეს პრობლემად.

„თუ რაიმე მნიშვნელოვანს შევიტყობთ, თუ გვექნება მტკიცებულებები იმისა, რომ ამა თუ იმ თამაშის შემდეგ წინასწარ იყო შეთანხმებული, ნულოვანი ტოლერანტობით უმკაც-

რეს სანქციებს მივიღებთ. მწამს, რომ საფეხურთო სამყარო, ყველა ის ადამიანი, ვისაც ფეხბურთი უყვარს, ამ ბოროტების დამარცხებაში დაგვეხმარება. ჩაწყობილი თამაშები ყველაზე სერიოზული პრობლემაა, რომელიც თანამედროვე ფეხბურთში არსებობს. თუ თქვენ ხვალ თამაშზე წახვალთ, რომლის შემდეგაც წინასწარ იქნება ცნობილი, სტადიონზე მისვლასაც ხომ აზრი აღარ ექნება?! ასეთ შემთხვევაში სპორტის ეს სახეობა მოკვდება. ჩვენი მიზანია, დავიცვათ ფეხბურთი და ოღონავე დანდობის გარეშე მივუღებთ იმ ადამიანებს, ვინც წესებს არღვევს. მნიშვნელობა არა აქვს, ფეხბურთელებთან გვექნება საქმე, მსაჯებთან თუ ოფიციალურ პირებთან. უკან დახვევას არ ვაპირებთ,“ — განაცხადა უეფას პრეზიდენტმა ინტერვიუში.

როგორც ჩანს კორუფციის თემამ ქართული ფეხბურთის მესვეურებიც საკმაოდ შეაწუხა. საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ღიად ხანია აქტიურად თანამშრომლობს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან. წლის განმავლობაში სფფ-მ ოფიციალური

წერილით რამდენჯერმე მიმართა უსს-ს და სთხოვა უეფა-დან მიღებული ინფორმაციის გადამოწმება საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში საექვო მატჩებთან დაკავშირებით.

რამდენიმე კვირის წინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებსა და უსს-ს ანტიკორუფციული სამსახურის ხელმძღვანელებს შორის შეხვედრა გაიმართა, სადაც კიდევ ერთხელ დაისვა საკითხი ჩაწყობილი მატჩების გამოძიებასთან დაკავშირებით. შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისმა სამსახურებმა საქმეში გასარკვევად ორკვირიანი ვადა ითხოვეს.

„საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია მადლობას უხდის შინაგან საქმეთა სამინისტროს გაწეული სამუშაოსთვის და თანამშრომლობისთვის. გამოძიება გრძელდება და იმედი გვაქვს, ამ კორუფციულ გარიგებებში მონაწილე ყველა პირი და მხარე სათანადოდ აგებს პასუხს,“ — ნათქვამია ფედერაციის განცხადებაში.

სოფია გაბადაძე

დაქორწინება-გაქორწინების წესები

მე-4 გვერდიდან



ხოლო თუკი მუდღეობა თანხმდებიან განქორწინებასა და მის პირობებზე, მაშინ სასამართლოსადმი მიმართვა საჭირო არ არის და განქორწინება ხდება, უბრალოდ, ერთობლივი განცხადების შეტანით, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში, ერთ-ერთი მუდღლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით და მოეთხოვებათ მომსახურეობის საფასურის გადახდა, რაც შეადგენს 45 ლარს. განცხადებაში მუდღეობა ადასტურებენ, რომ თანახმაი არიან განქორწინებაზე და ერთმანეთს შორის დავა არ აქვთ. განქორწინება ხდება განცხადების შეტანის დღიდან 15 სამუშაო დღის გასვლის შემდეგ, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუკი სახეზეა განსაკუთრებული გარემოება, ერთ-ერთი მხარის სიცოცხლისთვის რეალური საფრთხე, ბავშვის დაზარალება და ა.შ. განქორწინების რეესტრაცია შეიძლება მოხდეს განცხადების შეტანის დღესვე. ქორწინება შეწყვეტილად ითვლება განქორწინების რეესტრაციის მომენტიდან.

განქორწინება შეიძლება ერთ-ერთი მუდღლის განცხადებითაც მოხდეს იმ პირობით, რომელიც:

კანონით დადგენილი წესით აღიარებულია უგზო-უკვლოდ დაკარგულად; სულით ავადმყოფობის ან ჭკუასუსტობის გამო, ცნობილია ქმედუნაროდ; სასამართლოს მიერ, მსჯავრდებულია დანაშაულისთვის და მისილი აქვს თავისუფლების აღკვეთა, არანაკლებ სამი წლის ვადით. ასეთ შემთხვევაში, მუდღე ვალდებულია, სამოქალაქო რეესტრის

სააგენტოს წარუდგინოს სათანადოდ დამოწმებული, კანონიერ ძალაში შესული დოკუმენტაცია. თუკი განქორწინების შემდეგ, გარდაცვლილად გამოცხადებული ან უგზოუკვლოდ დაკარგულად აღიარებული მუდღე გამოჩნდება, მაშინ გაუქმდება

სასამართლოს გადაწყვეტილება და ქორწინება შეიძლება აღდგეს მუდღეთა ერთობლივი განცხადების შეტანით სამოქალაქო რეესტრის სააგენტოში. ქორწინების აღდგენა დაუშვებელია, თუ გარდაცვლილად გამოცხადებული ან უგზოუკვლოდ

დაკარგულად აღიარებული პირის მუდღე უკვე დაქორწინებულია სხვა პირზე.

ქორწინების ბათილობა

ქორწინება შეიძლება ბათილად იქნას ცნობილი, თუკი თავიდანვე დარღვეული იყო დაქორწინების კანონით დადგენილი პირობები. აუცილებელია იცოდეთ, რომ ქორწინების შეწყვეტა და ქორწინების ბათილობა სულ სხვადასხვა სამართლებრივი ინსტიტუტებია. თუკი ქორწინების შეწყვეტის დროს, ქორწინება და მის შემდეგად წარმოშობილი ყველა სამართლებრივი შედეგი, ქორწინების ბათილობის დროს ითვლება, რომ ქორწინება არ მოხდარა და, შესაბამისად, არ წარმოშობილა არავითარი სამართლებრივი შედეგი. ქორწინება შეიძლება ბათილად ცნოს მხოლოდ სასამართლომ. არავის აქვს უფლება, მიუთითოს ქორწინების ბათილობაზე, თუკი იგი სასამართლომ არ აღიარა.

პროექტს ახორციელებს შპს „ბესტკომპანი ჯორჯია“
ელფოსტა: bestcompany_z@yahoo.com

კვირის პროსპექტი

ვერდი: არ ღირს საქმიანი შეხვედრების დაგეგმვა. არ არის გამოირიცხული არასასიამოვნო ამბის გაგება ან არასასიამოვნო სიტუაციაში მოხვედრა.

კურო: კამათი გეგნებათ უფროსებთან. მიმდინარე საქმეები იქნება მარტივი და შემოსავლიანი.

ტყუებები: დიდ ღრს დაუთმობთ საუბრებს, დისკუსიებს; რაც თქვენგან მოითხოვს მობილიზებას და პროფესიონალიზმს. მოსალოდნელია შეხვედრა თქვენთვის საინტერესო პიროვნებასთან.

კირჩხიბი: ახალი საქმიანი წინადადებით მოგმართავენ, მაგრამ არ დათანხმდეთ, რადგან ეს საქმე თქვენთვის მოგვებიანი არ იქნება. მიღებული გადაწყვეტილებები, სამომავლოდ დაგეგმარებათ კარიერის ზრდაში. სადაც უარია სათქმელი ნუ დაფიქრდებით, უარი მოჭრით უთხარით, ყოველგვარი იმედის დატოვების გარეშე.

ლომი: თუ აქამდე თქვენი შემოსავლით უკმაყოფილო იყავით, ნულარ დაღონდებით. მოულოდნელმა წარმატებამ თავბრუ არ უნდა დაგახვიოთ.

ქალწული: შესაძლოა, გაგიჩნდეთ სურვილი, შეხვედეთ და ესაუბროთ ადამიანებს, რომელთა მოსაზრებები ადრე არ გაინტერესებდათ, დაიკმაყოფილეთ ცნობისმოყვარეობა. ეს განწყობილებას გაგიუმჯობესებთ. იფიქრეთ იმაზე, რომ დროულად მოაგვაროთ ფინანსური პრობლემები.

სასწორი: თავი შეიკავეთ დაპირებებისაგან, ნუ დაგეგმავთ წინასწარ ნურაფერს, ეს კვირა მოულოდნელობით იქნება აღსავსე. თქვენ ბევრი ადამიანი დაგპირდებათ მხარდაჭერას, მაგრამ სჯობს, მხოლოდ საკუთარი თავის იმედად იყოთ.

მორიელი: ეს კვირა იდეალურია ხანგრძლივი პროექტების დასაწყებად. საქმეში მიზანდასახული და ინდივიდუალური იყავით. წარმატება გელით შემოქმედებით საქმიანობაში. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას. კვირის ბოლოს საინტერესო საქმიანი შემოთავაზება გელით, რომელზეც უარი არავითარ შემთხვევაში არ უნდა თქვათ.

მშვილდოსანი: ნებისმიერ საკითხში მეგობრების რჩევას ყური დაუგდეთ, მათი აზრი გაითვალისწინეთ. პირად ცხოვრებაში რადიკალურ ნაბიჯებს ერიდეთ. შეეცადეთ, დროის უმეტესი ნაწილი ოჯახის წევრების გარემოცვაში გაატაროთ. ისინი თქვენგან ყურადღებას მოითხოვენ.

თხის რქა: საშუალება მოგეცემათ, კარიერაში მნიშვნელოვანი მწვერვალები დაიპყროთ, თუმცა დროა, პირად ცხოვრებასაც მიხედოთ. ამ კვირაში მოულოდნელი შემოსავალი გაგიხარებთ გულს.

მერწყული: ყველაზე რთულ პრობლემებსაც მარტივად მოაგვარებთ. ახლობლებსა და ნათესავებს მეტი დრო დაუთმეთ. შესაძლებელია, ძველი ნაცნობი გამოგეხმაუროთ და საქმიანი წინადადება შემოგთავაზოთ.

თევზები: ნებისმიერი საქმიანობა და ძიება თქვენ დიდ სიამოვნებას მოგანიჭებთ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ყველა შედეგიანი იქნება. ამ კვირაში მოსალოდნელია საინტერესო სუფრის წვერი გახდეთ და კარგადაც მოიხიზნოთ.

რა ცვლილებები უნდა შეიქმნას ახლის კანონში

მთავრობა „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანად ცვლილებების პაკეტს ამზადებს. ცვლილებათა პაკეტი პარლამენტს განსახილველად უახლოვს დროში გადაეგზავნება, დეტალებზე შეჯერება კი საკომიტეტო მისამართზე მოხდება.

ერთ-ერთი ცვლილება, რომელმაც მთავრობისა და პარლამენტის წარმომადგენელთა განმარტებით, პოტენციურ მშვილდებელთა რაოდენობა და, შესაბამისად, მოცდის პერიოდი უნდა შეამციროს, ასაკობრივი რეგულაციებია, რაც აქამდე კანონით მოთხოვნილი არ ყოფილა.

კერძოდ, თუ არსებულ კანონში მშვილდებელსა და გასაშვილებელ ბავშვს შორის ასაკობრივი სხვაობა 16 წელზე ნაკლები არ უნდა იყოს (გამონაკლის შემთხვევებში სასამართლოს შეუძლია ეს ასაკობრივი სხვაობა შეცვალოს), ახალი რეგულაციით დაწესდება ზედა ზღვარიც —

ხვაობა მშვილდებელსა და გასაშვილებელ ბავშვს შორის 50 წელს არ უნდა აღემატებოდეს.

ახალი კანონით ასაკობრივი ბარიერი იმ შემთხვევაში იქნება მოხსნილი, თუ მშვილდებელი ბავშვის დედინაცვალი, მამინაცვალი ან ნათესავი იქნება. ოფიციალური მონაცემებით, გასაშვილებელ ბავშვთა რაოდენობა იმდენად მცირეა, რომ ბავშვის აყვანის მსურველებს წლების განმავლობაში (დაახლოებით, 10-12 წელი) უწევთ მოცდა.

კიდევ ერთი ცვლილება, რომელიც აღნიშნულ კანონში შევა, შვილად აყვანის პირდაპირი წესის გაუქმებაა. ახალი ვერსიით, იმ შემთხვევაში, თუკი ბავშვის ბიოლოგიური მშობელი და მშვილდებელი სააგენტოს ერთობლივად მიმართავენ, ბავშვის გაშვილება ყოველგვარი შეზღუდვისა და რიგის გარეშე იქნება შესაძლებელი.

speqtri.ge



Large crossword puzzle grid with various clues in Georgian. Includes a small portrait of a man at the bottom right.

შავაბინა ალექო ნოსაძე

„უფასოდ“ კვებით მოცემულ კუპონზე განცხადების მიღება ხდება კერძო პირებიდან. Includes a form for registration and a crossword puzzle.

პოსტსერვიტი უფასოდ? პასუხი წინა ნომრის ფოტო-ვიტორინაზე. Includes a photo of a man.

რას დაეკადრებო? პასუხი წინა ნომრის ფოტო-ვიტორინაზე. Includes a photo of a man.

კრიოსკოპი. პორიზონტალურად: 3. ... -ბარასი; 5. ალ. ყაზბეგის რომანი...; 6. შეძახილი ვირისადმი; 8. ... სოიერი; 9. მეფის მხლებლები; 11. თაიგულის შეკვრის ხელოვნება იაპონიაში; ვერტიკალურად: 1. ნიორის მსგავსი ბოსტნეული; 2. წამლის ბურთული; 3. ჩიბუხი; 4. იტალიის ერთ-ერთი კუნძული; 7. გენერალი ... კვიციანი; 10. მუსიკოსი ვანესა...

